ეროვნული ბიბლიოთეკა


ორშაბათი, 21 ოქტომბერი № 146

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მ.ნ.

წელიწადი 1913 მესამე

# თემი

ორშაბათი 21 ოქტომბერი № 146

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხ.ლის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით



1 ივლისიდან წლის დამლევამდე გაზ.

წელიწადი მესამე. „თემი“ წელიწადი მესამე

ღირს 1 მან. 25 კაპ.

ადრესის გამოცვლა თბილისის გარეშე—40 კაპ.

ვინც გაზეთის წლიურ ფასს—2 მან. 50 კაპ. ერთბაშად წარმოადგენს, მიიღებს ორ პრემიას: 1) ს. აბაშელის ლექსთა კრებულს „მზის სიცილს“ და 2) გ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს

რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდის—Ольгинская, 4, д. Діасамидзе.

ქართული თეატრი

ტელეფონი № 795. წარმოდგენა № 13—7

ხუთშაბათს 24 ოქტომბერს 1913 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

სოფოკლეს ცნობილი ანტიური ტრაგედია

ოიდიპოს მეფე

ამ პიესისათვის გაკეთებულია ახალი დეკორაცია და ტანთსაცმელები. ტრაგედია დადგმული იქნება რეინჰარტის გეგმით. პიესის დასაწყისს და დასასრულს აუწყებს ანტიური მუსიკა. რადგან მსახიობები პარტერიდან შემოვლენ სცენაზე პარტერის და ლოჟების კარები დაკეტილი იქნება სრულ 9 საათზე და ამის შემდეგ დარბაზში არავის არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ასათიანი, ქიქოძე, შოთაძე, სალარაძე, თოიძე. ბ-ნნი ბარველი, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, არადელი-იმხნელი, სარაული, შალიკაშვილი, შანშიაშვილი, ციციშვილი, ხონელი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 9 საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასასრული 10 საათზე და 40 წ.

რეჟისორი მ. ქორელი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: კულტურული მკვლელობა, ზამთრის სიზმარი, ნაგავი, და სხვ.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: მსახიობთ ქ. ნინო ჩხეიძის ასულის და ბ. ლ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად დრამა

ტაიფუნი

4 მოქ. მ. ლენგიელისა. თარგ. ელ. ანდრონიკაშვილისა.

მონაწილეობს წრის ყველა სცენის მოყვარე. დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილები 2 მ.—20 კ. რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე. ფარდ. აწევის შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. წრის ადმინისტრაცია

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს 25 ოქტომბერს 1913 წ.

საზანდარი

ჩვეულებრივ

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 21 ოქტომბერს და ოთხშაბათს, 23 ოქტომბერს

სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

საავთიაქო საქონლით

მოვაჭრე

კავკასიის ამხანაგობა

აუწყებს თავის მუშტრებს, რომ 7 ოქტომბრიდან გაიხსნა

მესამე საწვრილმანო მაღაზია

ოლღას ქუჩაზე, მელიქ-აზარიანის სახლში.

„თემის“ რედაქციამ

იკისრა იობა ისაკაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება

აკაკის პოემის „რაჭა-ლეჩხუმის“

და მგოსნის ამ მხარეში მოგზაურობის აღწერის გამოცემა

ამიტომ ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც განსვენებულმა დაუგზავნა საკვიტანციო წიგნები, ანგარიში გაგვისწორონ და უეჭველად წარმოგვიდგინონ ტალონები 1 ნოემბრამდის, როდესაც შესწყდება ხელისმოწერაც. ჯერ ჯერობით ჩვენ მივიღეთ ბაქოდან ვასილ კირვალიძისაგან—50 მან. და თბ. სადგურიდან ნოე გოშაძისაგან—50 მან. წიგნი გამოვა ამ წლის დეკემბერში.

სალიტერატურო კარიკატურებიანი გამოცემა

ჩვენი ხუმარა

✦ 20 ოქტომბრიდან გამოვა ✦

დროგამოშვებით

დაიბეჭდება:

სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობანი, პიესები; 2) ფელეტონი დღევანდელ ქირ ვ რაზე; 3) სცენები, იგავ-არაკები, საუბარი სხვა და სხვა საგნებზე; 4 კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 5) სურათები გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთ; 6) კარიკატურები დღიურ ქირვარამეზე; 7) გასართობი და სახუმარო.

„ჩვენი ხუმარა“ იქმნება მიუდგომელი, მიმართულების გარეშე, ძალიან საჭიროა ოხუნჯი და შხამიანი თანამშრომელნი. ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება ხოლო თითო ნომერი კი ყველგან ერთს შაურად ღირება.

მისამართი: Тифлисъ Мухранск я ул. № 12, для „ЧВЕНИ ХУМАРА“

ახალი კლუბი

საზამთრო თეატრი

სამშაბათს, 22 ოქტომბერს, გაიმართება

კონცერტი

ცნობილ სახალხო მომღერალ მემუსიკე ილიკო ქურხულისა

სცენაზე წარმოდგენილი იქნება პეტერბურგის ერთ ერთი იმ ეზოთაგანი, რომელიც დავლილი აქვს ამ თავისებურ მემუსიკეს.

დასასრულ წარმოდგენილი იქნება 2-მოქმედებათ კომედია დ. ერისთავისა, „ვ ე შ ა პ ი“

დაწვრილებით პროგრამაში. ადგილების ფასი საბენეფისოა. ვისაც სურს დაესწროს კონცერტ-წარმოდგენას, ის არ იხდის კლუბში შესავლელს. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან: მამაკაცები—50 კ.; ქალები და სტუდენტები—25 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ქალებისათვის ინგლისური დემი-პალტოები

ძმ. ალშვანგნი.

მოქსოვილი ჟაკეტები შლიაპები, ყელზე მოსახვევი, კაპრეი, ფიგარო და ბოლერო

ძმ. ალშვანგნი.


## თბილისი, 21 ოქტომბერი.

იმ დროს, როდესაც ყოველი ერი, რომელსაც სურს სიცოცხლე, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გამოიყენოს ყველაფერი, თვითოეული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოვლენა თავის კეთილდღეობისათვის, ჩვენ განგებ თვალი დაგვიხუჭნია და ყური მოგვიყრუებია, თითქო ვიღაცის იმედი გვაქვს, მზრუნველობას გაგვიწევსო. აქამდინ ვერ შეგვიგნია, რომ ჭეშმარიტება—თუ ადამიანმა თვითონ არ იზრუნა თავისთავზე, ის ყოველთვის მშიერ-მწყურვალი და ღატაკი დარჩება—ულმობელი კანონია აგრეთვე მთელი ერისათვის, მთელი ხალხისათვის. მართლაც ვინ უნდა იზრუნოს ჩვენთვის, თუ ჩვენ თვითონ ხელს არ გავანძრევთ?

ამ არაფრისკეთების დროს დაგვჩემდა ერთი მეტად ცუდი ზნე. ჩვენ ყველგან ვეძებთ მტრებს. საქმე რამე გასაკეთებელია, ვსთქვათ, არ მივეგებეთ, წინასწარ არ ვიმუშავეთ, ამიტომ ვიზარალეთ. ვიწყებთ მერე „თითზე კბენას“ და ვძებნით გარეშე მტერს იმ დროს, როდესაც ჩვენ თვითონა ვართ თავისთავის მტერნი და სხვა არავინ. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ კმრძოლ ყოველთვის ზიზღით ვუყურებთ ჩვენი ულტრა ნაციონალისტების, ვაშაპატრიოტების განგაშს და ფარისევლურ ცრემლის ღვრას.

მართლაც, სად არიან ეს პირები, როდესაც საქმე მოითხოვს შეუწყვეტელ შრომას და მეცადინეობას? აი ახლაც.. ჩვენმა არაფრისკეთებამ, ჩვენმა მცონარეობამ, ჩვენმა თავდავიწყებამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ მოვესწარით უცნაურ მოვლენას: მთელმა უწყებამ, რომელსაც უნდა სცოდნოდა ჩვენი არსებობა, მიგვივიწყა სრულებით, არც კი გავხსენებივართ. ჩვენ ვამბობთ იმ ანკეტის ფურცლების შესახებ, რომელიც დაუგზავნა ყველა საქალაქო მართველობას საქალაქო მეურნეობის განყოფილებამ, რომელიც დაარსებულია ადგილობრივ მეურნეობათა საქმეების მთავარ გამგეობასთან. ეს ცნობები სჭირდება მთავრობ.ს საქალაქო დებულების რეფორმისათვის. ამ ფურცლებში ყველა ერი, რუსეთის იმპერიაში შესული, მოხსენებულია, ჩვენს გარდა. რომ კაცმა დასწამოს რაიმე მზაკვრობა მთელ უწყებას, ეს უაზრობა იქნება, რადგანაც ამ საანკეტო ფურცლებში მოხსენებულნი არიან თვით დევნილნი ერნიც, როგორც მაგალითად ებრაელები, პოლონელები და სხვა. მაშასადამე ამ უწყებას პირდაპირ დავავიწყდით. ეს არის უსასტიკესი სასჯელი ყველა თავმოყვარე ხალხისათვის და ჩვენ მოვესწარით ამასაც. ახლა კი ვაყყედრით სხვას, ეს საანკეტო ფურცლების შეცდომა რატომ არ შეასწორე და ცნობები ისე გაჰგზავნეო

ამ ნაირად სხვის დახმარებას მოვითხოვთ... იმას აღარ ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ შეგვეძლო ყველაფერი ეს გაგვეგო წინდაწინვე. განა ჩვენი დეპუტატები ვერ შეიტყობდენ ამას, განა სახ. საბჭოს ქართველ წევრს არ უნდა მოსვლოდა ეს აზრად? რისთვის არიან გაგზავნილნი რუსეთში? ან ნუ თუ აქაც რაიმე „პოლიტიკა“ დაინახეს, რომელიც მათ ჰქსაკსავს და ჰყოფს?

მაგრამ არა! ეს ყველაფერი ისევ ჩვენი „ზნის“ ბრალია და სხვა არაფერი!

ასე რომ არ იყოს, განა არ მოვემზადებოდით მომავალ ხალხის აღწერისათვის?

ნუ თუ არ გვაინტერესებს ერთხელ მაინც შევიტყოთ ნამდვილად, რამდენი ვართ?

ყველა დაფაცურდა, ჩვენს გარდა.

ყოველი ქართველი, რა რწმენისა და რა მიმართულებისაც უნდა იყოს, მოვალეა ამ აღწერას ხელი შეუწყოს. უნდა დაფაცურდეს ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა, ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი და განსაკუთრებით თავად აზნაურობის თვითმმართველობანი, რადგანაც ამათ ხელშია ბევრი მასალა და საშუალება მეტადრე ეს უნდა იქვას თბილისის სადეპუტატო საკრებულოზე, სადაც განსვენებულ წინამძღოლის დაკით მელიქიშვილის თაოსნობით ერთ დროს მთელი სტატისტიკური ბიურო იყო დაარსებული ამ საგნის იმისთანა მცოდნე პირის ხელმძღვანელობით როგორც გ. ფილიპე გოგიჩაიშვილია. ხელი უნდა შეუწყონ ამ საქმესვე ჩვენმა საადგილ-მამულო და მოკლე ვადიან კრედიტის ბანკებმა და მეტადრე შავიქვის მრეწველთა საბჭომ ყველა დამხმარე ელემენტის ჩამოთვლა შეუძლებელია ამ პატარა წერილში.

საჭიროა, რომელიმე დაწესებულებამ ითავოს საქმის დაწყება. ჩვენის აზრით, ეს უნდა დაიწყოს თბილისის თავად-აზნაურობამ, რადგანაც მას შეძლება მეტი მოეძებნება, ვიდრე სხვას საჭიროა მან ახლავე გამართოს თათბირი, რომელზედაც უნდა მოიწვიოს მცოდნე პირები.

ან ნუ თუ ყველა ეს, მართლაც, საინტერესო არ არის და ჩვენთვის სულერთია, რამდენიც უნდა ვიყვნეთ?

თუ ასე ვმსჯელობთ, მაშინ პირდაპირ ალვიაროთ ჩვენი გადაგვარება, რადგანაც რა ფასი ან მნიშვნელობა ექნება ყოველსავე ჩვენ ღონისძიებას, რომელსაც ვიწყებთ რომელ ჩვენი ერის კეთილდღეობის დასამყარებლად და ასაყვავებლად?!

## გ. თუმანიშვილის წერილები კავკასიის შესახებ.

რადგანაც გ. თუმანიშვილის მხოლოდ ქვემომოყვანილმა წერილმა გამოიწვია ლაპარაკი, ამიტომ ამ ნომერში მარტო ეს წერილი მოგვყავს. დანარჩენ წერილებს, რომელიც შეეხება დროებით-ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა მიწების გამოსყიდვის საკითხს, შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

აი ის წერილიც, რომელიც პოლიტეხნიკუმს შეეხება:

„ამ ჟამად ადგილობრივ საზოგადოების საერთო ყურადღებას იპყრობს კომისია, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილი თბილისის მომავალ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისათვის. გაიმართა გამწვავებული ბრძოლა ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს შუა. თვითეული მათგანი ცდილობს, რომ მის უბანში იყოს უმაღლესი სასწავლებელი. თბილისის საქალაქო თვითმმართველობა, ფულის დახმარების გარდა (130 ათასი მან. ერთდროულად და 30 ათასი ყოველწლივ), იძლევა 400 დესეტინამდე მიწას, როგორც პოლიტეხნიკუმის შენობის აგებისათვის, ისე ზედმეტი მიწის ნაჭერ-ნაჭერ გასაყიდად იმ მიზნით, რომ ამგვარად სალსარი გაუჩნდეს პოლიტეხნიკუმს ყველა საჭირო ბინის გასაკეთებლად და მოსაწყობად. ამიტომ ქალაქი აძლევს საკუთარ მიწას განაკიდე მხარეს, ნავთლუღში (ქალაქს შუაგულში არა აქვს რამდენადმე თვალსაჩინო მიწაადგილი). კერძო პირები, რომელთაც შეიგნეს, თუ რა სარგებლობას ნახავენ, რომ მათ უბანში გაიმართოს უმაღლესი სასწავლებელი, აძლევენ, აგრეთვე უსასყიდლოდ, 400 დესეტინამდე მიწას ქალაქის მეორე განაკიდე მხარეს საბურთალოზე. ამ უკანასკნელ შუამდგომლობას მხარს უჭერს ადგილობრივი თავად-აზნაურობა, რომელსაც ამ მიზნით კერძო პირებმა გადასცეს საკუთრებაში 100 დესეტინა (ზემოხსენებულ 400 დესეტინიდან). ნავთლუღი-ქალაქის ძველი ნაწილია და მის არჩევას ქალაქის გამგეობის მიერ ადასტურებენ ქალაქის ძირითადი მკვიდრნი. საბურთალო ქალაქის ახალი ნაწილია (იგი არც კია შეტანილი ქალაქის წრეში) და მის არჩევას ადასტურებენ ახალ მოშენეები.

ნავთლუღში მკვიდრთა უმრავლესობა სომხებს ეკუთვნის, საბურთალოზე კი ქართველებს. ამ გარემოებამ მისცა საბაბი ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთს დეეკავშირებინათ სულ უბრალო საკითხი-ქალაქის რომელ უბანში უნდა აშენდეს უმაღლესი სასწავლებელი ეროვნულ საკითხთან: რომელიც ასე მწვავეა მრავალერებიან და მრავალენებიან კავკასიაში.

ამ გვარად საკითხი მეტად მწვავედ არის დაყენებული. ან უნდა გაიმარჯვოს თავად-აზნაურობის წინადადებამ კერძო მამულის პატრონებთან ერთად ანდა ქალაქისამ. ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული რამდენადმე მომავალ პოლიტეხნიკუმის ბედი. რადგანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა მარტო პოლიტეხნიკუმის არჩევაზე, არამედ მისთვის სალსრის გამოძებნაზედაც სამეზობლოდ მდებარე მიწების დაყიდვის საშუალებით.

ვინც უნდა გაიმარჯვოს, ქალაქმა, თუ თავად აზნაურობამ, პოლიტეხნიკუმისათვის, როგორც ჩანს, ეს მაინც საზარალო იქნება. საქმე ის არის, რომ როგორც მის ასაგებად და მოსაწყობად, ისე მის შესანახად ხაზინა არაფერს იძლევა. მაშასადამე, მთელი იმედი დამყა-

...რებულია ადგილობრივ შემოწირულებაზე. ქალაქები და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაპირებულნი არიან ორ მილიონ მანეთზე მეტს. კავკასიის მთავრობაც ჰპირდება რამდენიმე ნაწილის გადადებას საერობო თანხიდან, რომელიც საერობო დაწესებულებათა უქონლობის გამო, ჯერ ჯერობით ხაზინის გამგებლობაშია.

ყველა ეს საკმარისია მხოლოდ პირველ ხანში. უმაღლეს სწავლა-განათლების საქმის მკვიდრად მოსაწყობად საჭიროა საერთო დახმარება მკვიდრთა ყველა კლასისა და ამათ შორის, რასაკვირველია, თავად-აზნაურობისაც. თბილისში მომხდარ უკანასკნელ სათავადაზნაურო კრების კამათიდან კი ადვილად შეიძლებოდა დაგვესკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტეხნიკუმი ქალაქის მიწაზე აშენდა, თავად-აზნაურობა უარს იტყვის თავის ყოველგვარ შეწირულებაზე. საქმის მდგომარეობა უფრო ძნელი შეიქმნება, უკეთუ კომისია შეჩერდება საბურთალოზე და ქალაქები უარს იტყვიან თავიანთ შეწირულებაზე. თავად-აზნაურობა მაშინ გადასცემს პოლიტეხნიკუმს მარტო კერძო მიწებს და იმ ადგილებს, რომელიც შეწირულნი არიან თავად-აზნაურობის საშუალებით, ნაღდ ფულად კი მხოლოდ ათი ათას მანეთს. ეს სჩანს იქიდან, რომ, როდესაც ირჩეოდა საკითხი, თუ რომელ საზოგადო დაწესებულებას მოხმარდეს ნაწილი იმ გამოსასყიდ ფულისა, რომელიც უნდა მიიღოს თავად-აზნაურობამ საგლეხო ნადელებში, არავის არ წარმოუთქვამს დახმარება აღმოვუჩინოთ უმაღლეს სასწავლებელსაო. უფრო ხშირად გაისმოდა გავხსნათ ახალი საკრედიტო დაწესებულებანიო. ეს იმ დროს, როცა მოგვეპოება მრავალი ბანკი სხვადასხვა სახისა. უმაღლესი სასწავლებელი კი არა გვაქვს მთელს ჩვენს მხარეში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამასწინად გახსნილ კერძო უმაღლეს საქალებო კურსებს, რომელნიც ნივთიერის მხრით ფრიად შეზღუდულნი არიან.

ცხადია, მხოლოდ ქალაქების და თავადაზნაურობის მჭიდრო თანამშრომლობით შეიძლება შეიკრიბოს თანხა, რომელიც საკმარისი შეიქნება პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დაარსების საქმის საფუძვლიან დაყენებისათვის. კომისიაში მოსარიგებელი წინადადებაც იყო წამოყენებული: ორი განყოფილება გაიხსნას ქალაქის ერთ ნაწილში, დანარჩენი ორიც —მეორეში. მაგრამ ეს, არა გვგონია, პრაქტიკულად შესაძლებელი იყოს. ყველა გასახსნელ განყოფილებას (სამეურნეოს, მექანიკურს, ქიმიურს და ეკონომიურს) ეყოლება მრავალი საერთო მასწავლებელი, რომელნიც ვერ მოასწრებენ ქალაქის ერთის მხრიდან მეორეში გადასვლას (შემოსაწირად დანიშნული ნაკვეთები ერთიერთმანეთს დაშორებულნი არიან თითქმის 15 ვერსით) ლექციის წასაკითხად.

ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთი დიდ იმედს ამყარებდა ბიუროკრატიის წარმომადგენლებზე, კომისიაში, რომელსაც შერეული ხასიათი აქვს: მას შეადგენენ სხვადასხვა სახაზინო მმართველობათა, ქალაქების და თავადაზნაურობის წარმომადგენელნი. ჰფიქრობდენ, ისინი წარმოადგენენ ნეიტრალურ ელემენტს და ამიტომ შესძლებენ ქალაქების და თავადაზნაურობის წარმომადგენელთა მორიგებას. ჩვენ კი ეს იმედი საეჭვოდ მიგვაჩნია. ბიუროკრატია, რამდენიმე მოხელის გამოკლებით, ძალიან ნაკლებ თანაუგრძნობდა ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას და მრავალ წელთა განმავლობაში აფერხებდა ამ საქმის განხორციელებას. არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მომავალში ის სრულებით გამოიცვლის თავის შეხედულებას ამ საგანზე.

თუ რასმე გააკეთებს კეთილს, ეს მხოლოდ იმას, რომ თავის-მიერვე გამოგონილ შემაფერხებელ მიზეზებს მოაშორებს საქმეს. მაგრამ ძნელი მოსალოდნელია, რომ ენერგიულად შეუდგეს საქმის განხორციელებას, საზოგადოებრივ ელემენტების დაუხმარებლად. მოხელეობას რომ კიდეც სურდეს ამ შემთხვევაში სარგებლობის მოტანა, ვერ შეუძლია მიზანს მიაღწიოს, რადგანაც მეტად შორს სდგას ადგილობრივ ინტერესებზე, მეტად ცოტა იცის ამ ინტერესებისა და ვერც მოახერხებს ადგილობრივ ცხოვრების ხშირად ერთიერთმანეთის მოწინააღმდეგე მოთხოვნილებათა მორიგებას.

იმისთანა დიდ საკითხების დროს, რომელთაც საერთო სახალხო მნიშვნელობა აქვთ, როგორც, მაგ., უმაღლესი სასწავლებლის დაარსება, საერობო თვითმართველობის შემოღება და სხვ. ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებათ ჰმართებთ თავიანთ ძალღონის შეერთება, რადგანაც მხოლოდ შეერთებული ძალით შესაძლებელია მიზანს მიაღწიონ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჩვენი ყოველმხრით ჩამოქვეითებული მხარე გამოვიყვანოთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც არის ჩავარდნილი ჩვენი ცხოვრების მრავალ საზოგადო და ადგილობრივ პირობათა გამო.

ამგვარი ხმა გაისმის აგრეთვე ადგილობრივ პრესაში, მაგრამ აკადემიურ მსჯელობის ფარგალს საქმე არ გასცილებია. მეტად ცხადია, რომ დროა საქმეზე გადავიდეთ. ამ საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი ადგილობრივ ინტელიგენციის გავლენიანმა წარმომადგენლებმა, უმთავრესად იმ წრეების წარმომადგენლებმა, რომელზედაც დაყოფილია ეს ინტელიგენცია. ამას მოითხოვს თვით საქმის სიძნელე, რომლის მიზანია მრავალ დაქსაქსულ ძალთა გაერთიანება და შეკავშირება. ჩვენის აზრით ეს არის ჩვენი დროის უმთავრესი საგანი კავკასიაში“.

——

ამ საყურადღებო წერილში, არა გვგონია, უტენდენციოთ მოაზროვნე ადამიანმა აღმოაჩინოს მტრული განწყობილება ქართველ ერისადმი. მერე განა შესაძლებელია ეს მზაკვრობა დასწამო ადამიანს, რომელიც კარგა ხანი ცნობილია, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე. საკმარისია მარტო გახსენება იმ ღვაწლისა, რომელიც მიუძღვის მას ქართულ თეატრის აღორძინებაში. მაგრამ ასეთი ამბავი იმიტომ გვემართება ჩვენ, კავკასიელებს, რომ ყოველსავე საზოგადო საკითხზე მსჯელობას ჩვენ რაღაც უცნაურ გამაბოროტებელ ხასიათს მივსცემთ ხოლმე. ასე ვიქცევით ყველანი, **ეროვნების განურჩევლად**. ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია მეტი შორსმჭვრეტელობა და კულტუროსნობა გამოვიჩინოთ?! ან, იქნება, ყველა ეს ძალიან შორს არის ჩვენზე, როგორც ჩვენი „კეთილისმყოფელნი“ გაიძახიან?!

რაც შეეხება კერძოდ იმ საგანს, თუ სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი, ამის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენი აზრი. ჩვენ ნავთლუღის სრული წინააღმდეგნი ვართ, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი ქალაქის იმ მხარეში უნდა აიგოს, საითკენაც მიჰყავს ქალაქი მის ბუნებრივ ზრდას. შემჩნეულია, რომ ქალაქების ზრდა მიიმართება მდინარეების დაბლა კი არა, არამედ **ზემოდ**. საბურთალო და ლოტკის-გორა ამიტომ უფრო ხელ-საყრელია, ვიდრე ნავთლუღი. ეს ჩვენი აზრი, მაინც ნებას არ გვაძლევს ნავთლუღის ყველა მომხრეს გულ-წრფელობაში ეჭვი შევიტანოთ. ჩვენ სრულიად გვწამს პატივცემულ ვ. თუმანიშვილის სიწრფელე. მას მხოლოდ რამდენიმე ფაქტიური შეცდომა შეჰპარვია თავის საყურადღებო წერილში: ერთი რომ არსაიდან არა სჩანს, რომ ნავთლუღის არჩევას ადასტურებენ ქალაქის ძირითადი მკვიდრნი. პირიქით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესენი სულ წინააღმდეგ აზრისანი არიან.

ამიტომაც მოვითხოვდით ჩვენ—დაეკითხეთ თვით მცხოვრებლებს-თქო. მეორე ის, რომ თავად-აზნაურობა, უკეთუ საბურთალოზე არ გადაწყდება პოლიტეხნიკუმის აშენება, უარს იტყვის მხოლოდ მიწის შეწირვაზე, რადგანაც, რამდენადაც ვიცით, სხვაფრივ არც შეუძლია მოიქცეს. რაც შეეხება თავის ფულის შეწირულებას (10.000 მან.), ამაზე უარს არ ამბობს. მესამეც ის, რომ არც ერთს ქალაქს ჯერ-ჯერობით არ უთქვამს უარი თავის შეწირულებაზე, უკეთუ პოლიტეხნიკუმს ააგებენ საბურთალოზე. არც შესაძლებელია, რომ ასეთი უარი სთქვან.

რაც შეეხება ქალაქების და თავად-აზნაურობის მწყობრ მოქმედებასა, ჩვენც ყოველთვის სრული მომხრე ვართ ამის. ვ. თუმანიშვილს მოპირდაპირეებსაც მშვიდობიანად სწორედ ამ შეცდომებზე უნდა მიეთითებინათ და არ მოჰყოლოდენ სხვ-ს სულში ხელების ფათურს....

რედ.

# სომხის ერის დღესასწაული.

11, 12, 13 და 14 ამ თვეს დიდის ამბით იდღესასწაულეს ჩვენმა მეზობლებმა 1500 წლის თავი სომხურ ანბანის გამოგონებისა და 400 წ. პირველი წიგნის დაბეჭდვისა.

დღესასწაული გამართული იყო ყველგან, სადაც სომხები სცხოვრობენ. დღესასწაულს ოფიციალური ხასიათი მიეცა. მთავრობის მხრით ბევრმა მოხელემ მიიღო მონაწილეობა. მრავალი დეპეშა მოუვიდა კათოლიკოსს კევორკს ეჩმიაძინში.

თბილისში გამართულ დღესასწაულის დროს მიჰმართეს სხვათა შორის გუბერნიის წინამძღოლმა თავ. კონსტ. აბხაზმა, ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ექვთ. თაყაიშვილმა. მათი სიტყვები ტაშის კვრით დააჯილდოვეს. ასევე დაუხვდენ წერა-კითხვის საზოგადოების თავჯდომარის გენერალ ყაზბეგის დეპეშას. მაგრამ ყველაზე მეტი ტაშისკვრა ხვდა წილად თავ. კონსტ. აბხაზს, რომელმაც პირველმა წარმოსთქვა სიტყვა. როგორც კი გაჩნდა კათედრაზე, ტაშისკვრით დაუხვდენ. კონსტ. აბხაზმა შემდეგი სიტყვით მიჰმართა სომეხთა ადგილობრივ ეპისკოპოსს მესროფს:

„ათას ხუთას წლის წინად უტეხ ტყეში სადღაც გამოქვაბულში მშვიდმა განდეგილმა პირველად დახატა ასოები სომხურ ანბანისა და ამგვარად აღანთო ლამპარი, რომელიც ჩვენს დროში გარდიქმნა უშველებელ მნათობად—**სომხურ ბეჭდვითი სიტყვად**. ბრწყინვალე სხივებით უნათებს ეს მნათობი გზას სომხის ერს მომავალ კულტურულ აყვავებისათვის. დღეს, როდესაც დღესასწაულობთ შორეულ წარსულის ორს დიდს მოვლენას, ნება მიბოძეთ ქართველ თავად-აზნაურობის — თქვენი მრევლის ამ ათასწლოვან მეზობლებისა და მოძმეებისმხრით, გამოვუცხადო მთელს სომხის ერს ულრმესი ჩვენი პატივისცემა და ქრისტიანული სიყვარული“.

დ.

## „დემონის“ ქუჩუ ქავთარაძის გახსნების გამო.

ოთხი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფს გამოაკლდა ერთი ნიჭიერი წევრი— ქუჩუ ქავთარაძე. გარდაიცვალა ის არა-ბუნებრივი სიკვდილით. მან მოიწამლა თავი. თავის დროზე არც ამ მიზეზით და არც მის პიროვნებით ჩვენი საზოგადოება და პრესა არ დაინტერესებულა. არავის ხმა არ ამოუღია. მოწაფეთა შორის თავის მოკვლა თითქოს უბრალო მოვლენა ყოფილიყოს. ამიოღეს მხოლოდ ხმა მარქსისტების ორგანოებმა. მის ხსოვნას განსაკუთრებული წერილი უძღვნეს და თავის მოკვლის მიზეზ-ს გამოკვლევას მოითხოვდნენ. სხვამ კი კრინტიც არ დასძრა.

დღეს კი, როცა საკმაო ხანმა განვლო მას შემდეგ „თემის“ რედაქციამ ამოიღო თავისი მხრით ხმა, ეძებს მის ნაწერებს. იმ კითხვას თუ რა იყო მიზეზი და რამ შეაძულა სიცოცხლე ასე მალე ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელიც მომავალში დიდ იმედებს იძლეოდა. ვინ იცის იმავე მიზეზმა, „დემონს“ გარდა ბევრ ჭაბუკს მოასპობინა სიცოცხლე, ან ძირშივე ჩაუკლა ყოველივე ნიჭი?

„დემონი“ სწავლობდა სემინარიაში. სემინარიის სისასტიკემ, სუსხმა რეჟიმმა მიიყვანა ახალგაზრდა თავის მოკვლამდე. ამით მის ნიჭს ბოლო მოეღო. განა მსგავსივე ბედი არ ეწვია მის ერთგულ ამხანაგებს, რიცხვით ოც კაცს, რომელნიც სრულებით უმიზეზოდ დაითხოვეს სემინარიიდან უუფლებოთ და მაღალ სასწავლებლის მაგიერ მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს? განა იმათ-ც არ ეტყობოდათ ნიჭი, უნარი, ხალისი ცოდნის შეძენისადმი? განა თავის მიერ გამოცემულ ჟურნალ „პირველ ტალღის“ № №-ში არ ამტკიცებდნენ, თუ როგორი ცოცხალი ელემენტები იმყოფებოდნენ სემინარიაში და როგორი ადამიანები ეზრდებოდა საზოგადოებას?

ყველა ესენი კი ასე უწყალოდ გასწირეს. მერე ვინ გაუწოდა ხელი განწირულ შვილთ? ვინ სცნო ისინი ყურადღების ღირსად?...

განა იმავე მიზეზმა არ გამოიწვია 1911 წ. სემინარიაში „არეულობა“ რასაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე მოწაფის უუფლებოთ დათხოვნა?

სკოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი ქვაკუთხედია, სკოლის საკითხი— ცხოვრების საკითხია. მართალია, დღეს სკოლა არ არის დემოკრატიულ პრინციპებზე დაყენებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებას აქვს ერთგვარი საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი ჟურნალ-გაზეთებში და შეაფასოს სკოლის ცხოვრების კარგი და ავი. ასე კი არ მოიქცეოდა ჩვენებური საზოგადოება და პრესა. მოწაფეთა „არეულობის“ და მასიურ დათხოვნის დროს, პრესა გაჩუმებული იყო და არ იძიებდა არაფერს მაშინაც, როდესაც მოწაფეები არა-ბუნებრივად ესალმებოდნენ წუთი-სოფელს.

„დემონი“ ერთი ნიჭიერი ჭაბუკ—მწერალთაგანი იყო. მაგრამ არც მის მწარე ბედმა მიიქცია დროზე ჯეროვანი ყურადღება.

მას დარჩა ბევრი დაუმთავრებელი ლექსები, ესკიზები და სხ. რომელთა შეგროვება და გამოცემა მოიწადინა მოწაფეთა ლეგალურმა ჟურნალმა „ტალღამ“. ვთხოვე მშობლებს გამოსაცემად მათი დათმობა, რის თანხმობა გამოაცხადეს. რედაქცია შეუდგა გამოცემის საქმეს. მაგრამ ამ დროს მოწაფე რედაქტორები დაიჭირეს. ხელნაწერებიც დაიჭირეს ჩემთან ერთად. 4-5 თვის შემდეგ გამანთავისუფლეს. ისევ შეუდექი საქმეს, მივმართე რამდენიმე გამომცემელს. საქმე ჩარხდებოდა, მაგრამ მეორედ დამიჭირეს, ნაწერებიც ჩემთან ერთად დაიჭირეს. ამ ზაფხულში რუსეთიდან, რომ დავბრუნდი ორი წლის შემდეგ ეს ნაწერები „დემონისა“ ჩამაბარეს. მივმართე ნათესავებს წინადადებით—შეგვედგინა გამოცემისათვის თანხა და შევსდგომოდით საქმეს. ამ დროს „თემმა“ ხმა ამოიღო. როგორც უკანასკნელ წერილიდან სჩანს რედაქცია არ არის წინააღმდეგი საკუთრად გამოსცეს.

თუ ამას იკისრებს რედაქცია და პატივს სცემს, როგოც „დემონის“ ხსოვნას, ისე მის ამხანაგების წადილს, ნაწერებს გაუგზავნი მათ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ქ. ფოთი.

ანდრო ანჯაფარიძე.

——

ჩვენ სიამოვნებით ვიკისრებთ „დემონის“ ნაწერების გამოცემას გადასინჯვის შემდეგ, რადგანაც შესაძლებელია პრესის დღევანდელ პირობების ძალით ვერ მოხერხდეს მათი გამოქვეყნება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ერთი ნაწარმოები განსვენებულ მწერლისა გამოგვიგზავნა მისმა ნათესავმა, მაგრამ მისი დასტამბვა არ შეიძლება ამ ხანად.

გამოცემის წმინდა შემოსავალს გადავსცემთ მწერლის ნათესავებს მის ხსოვნის აღსანიშნავად.

ამიტომ ვსთხოვთ ბ. ანდრო ანჯაფარიძეს გამოგვიგზავნოს „დემონის“ ნაწერები.

რედ.

# ახალი ამბები.

**გუშინ შუადღისას მწერალ რაფფის პანაშვიდის დროს თბილისში გარდაიცვალა სომხის ცნობილი მწერალი და მოღვაწე „მშაკის“ რედაქტორი ალექსანდრე ქალანთარი.**

——

საკატორღო ციხიდან გაანთავისუფლეს მეორე სათათბიროს ს.-დემოკრატიულ ფრაქციის ცნობილი წევრი ირაკლი (აკაკი) წერეთელი. დასასახლებლად მიჩენილი აქვს სოფელი მალიშევკა (ბალაგანის მაზრა, ირკუტსკის გუბერნია).

——

ექიმ პიროგოვის საზოგადოებამ (მოსკოვი) გადასწყვიტა დაეხმაროს ქუთ. გუბერნიის მცხოვრებთ, რომელნიც მოუსავლობისაგან დაზარალდენ. ჩვენ კი ამ საზოგადო უბედურებას გულ-გრილად შევყურებთ.

——

პეტერბურგში სასურსათო თანხიდან მეფის მოადგილეს შუამდგომლობით გადაუწყვეტიათ ბაქოს გუბერნიის შემახისა და გეოქჩაის მაზრების მცხოვრებთ, რომელნიც წელს მოუსავლობისაგან დაზარალდენ, მისცენ 30,000 მან.

ნუ თუ ქუთაისის გუბერნიის დაზარალებულთ არავინ გაიხსენებს?..

——

სამშაბათს, 22 ოქტომბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ცნობილ მოსიარულე სახალხო მემუსიკე ილიკო ქურხულის მეტად საინტერესო კონცერტი.

——

ჩვენმა რედაქციამ გუშინწინ მიიღო შემდეგი სამგლოვიარო დეპეშა სოხუმიდან ბ. ალექსანდრე ჩხიკვაძისაგან: „დიდად შეწუხებული ვარ გიგა ჯულელის გარდაცვალების გამო; იგი იყო კეთილშობილი თავდადებული მუშაკი და ღირსეული ადამიანი“.

——

გუშინ, ქვაშვეთის ტაძარში, გადაიხადეს პანაშვიდი გიგა ჯულელის სულის მოსახსენებლად. გაზ. „ზაკავკაზიეს“ გუშინდელ ნომერში გ. ჯულელის შესახებ დაბეჭდილია თანამგრძნობი წერილი.

——

ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1) „ჩვენი ახალთაობის უკუღმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები“, წერილები ნიკო თავდგირიძისა; 2) „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“ დ. ონიაშვილისა.

——

17 ოქტომბერს თბილისს დაბრუნდა მეფის მოადგილე გრ. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ. ქალაქი დიდის ამბით დაუხვდა.

——

მეფისმოადგილემ თავის მხრით პოლიტეხნიკუმს შესწირა 100,000 მანეთი.

——

სწორედ სამწუხაროდ უნდა მივიჩნიოთ რომ „ბათუმის საქალაქო თვითმართველობის 25 წლის დღესასწაულის დროს არავინ გაიხსენა ღვაწლი იმ ადამიანისა, რომელმაც განამტკიცა ბათუმში თვითმმართველობის საქმე და მიუთვისა მას ქართული ეროვნული ელფერი. ეს ადამიანი გახლდათ განსვენებული ჩვენი მწერალი გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე).

——

ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილში დიდი უკმაყოფილება გაისმის, რომ დრამატიულ საზოგადოების ახალმა გამგეობამ არ განაგრძო შარშან დაარსებულ ქართულ დრამატიულ კურსების მოწყობა.

——

ამბროლაურის მომრიგებელმა მოსამართლემ ბ. სპირიდონ კვირკველიამ შესწირა ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებას ცნობილ მარშლის ნესტორ წერეთლის ოჯახში ნაქონი ხელნაწერი დიდი ლექსიკონი, რომლისბოლოში ჩართულია მშვენიერი ქართული მონოგრამები.

——

დღეს, 21 ოქტომბერს ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე **თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად** ჰმართავს საყურადღებო წარმოდგენას, რომელშიაც მონაწილეობენ „წრის ყველა ძალები და ჩვენი ნიჭიერი მსახიობნი ნინო ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილი. ითამაშებენ ცნობილ დრამას იაპონელთა ცხოვრებიდან: სახელად „ტაიფუნს“.

იმედია ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება სიმპატიურ მიზნით მოწყობილ წარმოდგენას.

# ქუთაისიდან წინამძღვარიანთ-კარში.*)

დილის რვა საათი იქნებოდა, როცა ქუთაისიდან წამოსულებმა მცხეთას მივაღწიეთ. შხაპუნა წვიმა ის-ის იყო შეწყდა. ეტლი ბლომად იშოვებოდა და ჩვენს მგზაურობას აღარაფერი აბრკოლებდა. ცუდი ამინდით დაფრთხალი გული წყნარმა დილამ და სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა, გაახალისა. ნახევარი საათის მზადება და ჩვენი ეტლიც დაიძრა. წინ ჩქარის ნაბიჯით, ყიჟინით მიგვიძღვება ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფეთა ქვეითად მიმავალი ჯგუფი.

მცხეთის მთები, აქეთ-იქით კეკლუცად აყუდებული, უკან დარჩენ. გზა არაგვისაკენ მიდის თვალს გაფაციცებით ავლებ არე-მარეს, წყალს, მთებს, მინდვრებს —იმ ადგილებს, რომელნიც უნახავადაც ნანახი არიან, ყველასთვის გაუცნობლადაც ნაცნობნი. პირ-მოკუმული ცა და შემოდგომის სუნთქვა, რომელიც ბუნებას შეხებია კიდევაც, ყველაფერს განსაკუთრებულს—წყნარს, სევდიანს და თან დიდებულ მეტყველებას აძლევს. ფერ-ნაკრთობი ტყე-ველი, არაგვის ანკარა წყლის დუდუნი, მაღალ მთაზე ცივად მარტოდ გამომყურე რუხი ეკლესია —საოცრად ეხამება ერთმანეთს მაყურებელს—განსაკუთრებით იმას, ვინც ამ ადგილებს პირველად ხედავს—ისეთი გრძნობა იპყრობს, თითქოს გულ-დასერილი მთების ფერდობებიდან წარსულის უფსკრულში ჩაღეწილ საუკუნეთა ძლივს გასაგონი გრიალი მოდის და თავისუფლად ეხება გამახვილებულ სმენას.

არაგვის იქითა ნაპირის აღმართს გავცდით თუ არა, თბილისიდან მომავალ ეტლების მთელი რიგი წამოგვეწია. ცოტა ხანი კიდევ და წიწამურის ველსაც მივაღწიეთ.

უზარმაზარი შავი ხის ჯვარი და ზედ მოკლე წარწერა .. ამ სანახაობით დამძიმებული გული კიდევ უფრო იკუმშება პანაშვიდის დროს; სამი მონაზონი უიმედო ნაღვლის მომგვრელი მონოტონური ხმით გალობს „სულთა-თანას“ და „საუკუნო ხსენებას“.

—„ამ მოსახვევთან...—ამ პატარა ტყიდან“...— გიტრიალებს თავში.

სადღესასწაულო სულიერი განწყობილება ჰქრება. უზომო სევდა იპყრობს გულს.

ხელახალი მოძრაობა, მრავალ ეტლების და ავტომობილის ხმაურობა შთაბეჭდილებას აყრუებს; ფიქრებს ჰფანტავს.

„წინ! წინ!“

ისევ გეღვიძება ინტერესი ახალი ადგილებისადმი.

აი საგურამოც! ამწვანებული ბაღები, შენობები, მოშორებით, მთის კალთაზე განსვენებული ილია ჭავჭავაძის სასახლე.

მერე სტაროსელსკის მამული და ისევ პანაშვიდი. აქ კი სევდა გულს აღარ ჰღრღნის. ცნობის მოყვარეთა ჯგუფი საოცარი სილამაზის ხოხბებს შემოჰხვევია და ათვალიერებს.

—მე ასეთები არ მინახავს!—უკვირს ვიღაცას.

—ალბად არისტოკრატიული ჩამომავლობისაა,—დინჯად უპასუხებს გვერდით მდგომი ახალგაზდა.

ისევ გზა. ამწვანებული სოფელი, აუარება ეტლებით და ერთი ავტომობილით შუაში გაწყვეტილი, საუცხოვო სურათს წარმოადგენს.

ვუახლოვდებით პატარა ქალაქივით გაშენებულ კოხტა ადგილს. ეს წინამძღვარიანთ-კარია.

იქით მიმავალ ეტლებს წინ ერთი ეტლი ხვდება. მთელი მოძრაობა ერთბაშად ჩერდება. ეტლიდან ჩამოდის მაღალი, კეთილშობილი სახის მოხუცი და სტუმრებს ეგებება.

ილია წინამძღვრიშვილი წინადაც მინახავს. მისი გარეგნობა—სულიერი ახოვანების ნათლად გამომხატავი, ადამიანს ჰხიბლავს, დიდი ხნით, წაუშლელად [illegible] მეხსიერებაში. ახლა მთელი მისი ცხოვრების დღესასწაულის დღეს, გაორკეცებული ცნობის-მოყვარეობით ვუყურებდი ამ კაცს, რომელიც აგრე საოცრად ჰგავს თავის საქმეს. მთელ მის სახეზე, განსაკუთრებით სათნოებით მომზირალ თვალებში, ისეთი სიმშვიდეა გაბნეული, რომ გინდა დიდხანს უცქირო თვალ-მოუშორებლივ. ასე გგონია, თითქოს მისი აუმღვრეველი სიმშვიდის მოზიარე ხდები, შენი სულიც თითქოს წყნარდება და ისვენებს.

ასეთი სახე უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომლის შინაგანი სიმწყობრე არასოდეს არ აუშფოთებია რყევასა და ორჭოფობას.

თვით იმ დღის მღელვარებამაც კი ვერ შესცვალა მის სახეზე ნათელივით ფენილი სიმშვიდე. გათავდა გრძელი წირვა. დაიწყო დღესასწაული. ის მოლოდინი, რომ წინამძღვარიანთ-კარში მთელი ჩვენი ინტელიგენცია მოიყრიდა თავს, თითქმის გამართლდა.

მხცოვანი აკაკი და ეკ. გაბაშვილისა, ხანში შესული პედაგოგები, ახალგაზდა ჟურნალისტები და სხვანი ძველი და ახალი—ვინც ყველაფერი მოგვცა, ვისგანაც მრავალს მოველით—აქ იყვნენ თითქმის ყველანი, დღესასწაული მშრალად, ოფიციალურად დაიწყო. გათავდა პირველი, მეორე მისალმება—სადღესასწაულო სული კი არა თუ არ ჰღვივდება, თითქმის სრულიად გაჰქრა. მოხუც ილიას უახლოვდება ვიღაც სამხედრო პირი. გულში უიმედობა იღვიძებს. აღარაფერს საინტერესოს აღარ ელი.

—მე მინდა ჯერ წინამძღვარიანთ-კარის გლეხებს მივმართო! სრულიად მოულოდნელად ამბობს ქართულად „სამხედრო პირი“. ახლოს მდგომი საზოგადოება სწრაფად შუა ირღვევა და მოლაპარაკე სკოლის შენობის კიბეზე ადის.

ის ლაპარაკობს. გამოცოცხლებული, ხარბი თვალები მისკენ არის მიპყრობილი, ყური გულმოდგინედ უსმენს. მადლიანი ენა კი დამშვიდებულად, უბრალოდ ასხამს გაბმულ აზრთა ძაფზე მარტივ, ყველასათვის გასაგებ სიტყვებს.

მიუხედავად მძლავრი ქარისა მკაფიოდ გაისმის ჰაერში ყოველი სიტყვა.

გაათავა. გლეხებს სახეზე თითქოს მზის შუქი დასთამაშებს. ისინი იღიმებიან. ზოგი იცინის გულიანად.

—ვინ არის? ვინ არის?—ჰკითხულობენ ყოველ მხრიდან.

—აბხაზი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი.

ხატისოვის ლამაზი ხოტბა და მერე ისევ უფერულ სიტყვათა დენა; მოწყენილობა და მძლავრი ქარი, რომელიც დიდი ტირიფის დაშვებულ, მოქნილ ტოტებს სევდის მომგვრელი ხმაურობით არხევს. ყურთა სმენა აღარ არის. ეკვ. თაყაიშვილის ჭკვიანურ მისალმებას ქარი ჰაერში ჰფანტავს. მოხუცი რაჭველი გრძნობიერად უხდის მადლობას მისი შვილის აღმზრდელს ბ. ილიას და საჩუქრათ ლამაზად გაკეთებულ ჯოხს მიართმევს. იმათი კოცნა აღტაცებულ ტაშის-ცემას იწვევს.

ცუდი ამინდის გამო მისალმებას სწყვეტავენ. ტაშით აჯილდოვებენ აკაკისა და ეკ. გაბაშვილის სიტყვებს.

დასრულდა დღესასწაული.

უკმაყოფილებას ჰგრძნობ. თუმცა დარმაც არ შეუწყო ხელი იუბილეს მომწყობთ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, დღესასწაულს აკლდა სითბო და სიცხოველე, რომელიც მხცოვანმა იუბილარმა მთელი თავისი სიცოცხლით და მოღვაწეობით დაიმსახურა.

დავათვალიერეთ სკოლის შენობები, ვენახი, ხეხილის ბაღი. ერთხელ კიდევ დავინახეთ, რომ უანგარო, თავგანწირული შრომა უნაყოფოდ არ რჩება; ერთხელ კიდევ დავრწმუნდით. რომ „თუ გული გულობს“, მარტო ერთ ადამიანსაც დიდი საქმის შესრულება, დიდი სიკეთის დათესვა შეუძლია.

ნასადილევს, საღამოს ოთხ საათზე გამოვეთხოვეთ საყვარელ მასპინძელს, ეტლში მოვეწყვეთ.

არ ვიცი რად—მომეჩვენა, თითქოს ი. წინამძღვრიშვილის კეთილშობილი სახე ზრუნვის ღრუბელს ოდნავ დაეჩრდილა. ასე გეგონებოდა, თითქოს მისი საყვარელი სკოლის მომავალი ბედ-იღბალი მას რაღაც ეჭვებს უძრავდა. ვინ იცის, იქნებ მისი ეჭვები ერთი მხრით არც ისე უსაფუძვლო იყოს. მართალია, მომავალი ალბად ბევრ კარგად მომზადებულ მეურნეს მოგვცემს, მაგრამ გამოერევა კი მათში ი. წინამძღვრიშვილის მსგავსი **პიროვნება** თუ არა?—ძნელი სათქმელია.

შემოდგომის ცივი ქარი ჰგლეჯდა ყველაფერს. ეტლი კი სულ უფრო და უფრო სცილდებოდა წინამძღვარიანთ-კარის ლამაზ მიდამოებს. ფიქრები, შთაბეჭდილებანი ერთმანეთს ასხვრევდენ. იფანტებოდენ. ისევ გადაიშალა თვალწინ ფართო ველები, ისევ აიმართენ შემოდგომის მდიდარი ფერადებით გულმოქარგული კეკლუცი მთები. ისევ საგურამო, არაგვი, მცხეთა და ტიტველ მთაზე ობლად მდგომი ეკლესია.

*) ეს აღწერა დასტამბულია „სასოფლო გაზეთის“ 45 ნომერში. ისე ცოცხლად და კარგად არის დაწერილი რომ არ შევეძლო არ მოგვეყვანა „თემის“ ფურცლებზე.

რედ.

## ხალხის საყვარელი.

ამას წინად სრულებით მოულოდნელად ეწვია ჩვენს რედაქციას ერთი უცნობი სასიამოვნო სახის ახალგაზრდა და გადმოგვცა ბარათი ჩვენი ახალგაზრდა მგოსნის ს. აბაშელისა, მოსკოვიდან გამოგზავნილი.

ამ ბარათმა გვამცნო, რომ მისი მომტანი უკვე ცნობილი მოსიარულე სახალხო მემუსიკე ილიკო ქურხული იყო. შეგვექნა სიხარული, ყველანი გულ-მხურვალედ მივესალმეთ. გასაკვირველიც არ არის! ჩვენ წინ იდგა მაღალი იდეის პირველი განმახორციელებელი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც არ მიივიწყა ადამიანის მოვალეობა, მშრომელი ხალხის სიყვარული, დაუწყო მას სამსახური და რომელმაც ამ თავის სასიამოვნო, მაგრამ მძიმე, საქმის შესრულებით მთელი რუსეთი აალაპარაკა და მიუთითა თავის გამზრდელ პატარა სამშობლო ქვეყანაზე, რომელიც მას გაგიჟებით ჰყვარებია, როგორც სჩანს მისი ლაპარაკიდან.

რუსეთში თითქმის ყველა ცნობილმა გაზეთმა წამახალისებელი წერილები უძღვნა მას და აქო ასეთ დიადი მნიშვნელობის საქმის დაწყებისათვის. მის შესახებ დასწერა წერილი „რუსკია ვედომოსტის“ ცნობილმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა იუ. ე.—მა. სერგი იაბლონოვსკიმ მშვენიერი წერილი უძღვნა „რუსკოე სლოვოში“. გაზ. „დენმაც“ დაბეჭდა სურათი, რომელიც წარმოადგენს სცენას, როდესაც ილიკო უკრავს ვიოლონზე მშრომელი ხალხის წინაშე ერთს მაღაზიასთან. თანამგრძნობი წერილები უძღვნეს შემდეგმა გაზეთებმა: „გოლოს მოსკვიმ“, „ბირჟევია ვედომოსტიმ“, „გაზეთკაპეიკამ“, „ცარსკოსელსკოე დელომ“ და ბევრმა კიდევ სხვამ; ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ყველანი ქება-დიდებით იხსენიებენ კლასიკურ მუსიკის დემოკრატიზაციის პიონერს, ჩვენს თანამემამულეს, მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის მრავალი ბარათები ანუ უკეთ ვსთქვათ, ქაღალდის ნაჭრები, რომელსაც უგზავნიან შემთხვევითი მსმენელნი მოსიარულე მემუსიკეს. ესენი უფრო მოსამსახურეების წრეს ეკუთვნიან. ყველანი დიდ მადლობას უხდიან და აღტაცებას გამოსთქვამენ.

ერთი პირი, გვარად ვიაჩესლავ შილინი, სწერს: „რა საოცარი საქმე დაგიწყიათ! ის, როგორც მზე გვინათებს! როცა დაჰფიქრდები, რამდენ ძვირფას რამის გაბნევა შეუძლია თქვენს ვიოლონს ადამიანის სულის ფარულ კუნჭულებში, რა სხვა და სხვა ნაირ განცდას აგრძნობინებს იგი მსმენელთ, რამდენს მიუთითებს ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე,-როცა ყველა ამაზე დაიწყებ ფიქრს, გული გევსება სიხარულით და მარტო ამ სიხარულის გამო გვსურს უსაზღვრო მადლობა გადაგიხადოთ, ჭეშმარიტად დიდი და უმშვენიერესი ბედნიერება მიისწრაფის თქვენთან და თქვენ მიმდევართან ერთად პროლეტარიატისკენ, რომლის მასსა აქამდინ ყურს უგდებს“ ქალაქის ათასნაირად გადამახინჯებულ სიმღერებს...

ილიკო ქურხული გარეკახელია. საგარეჯოში დაიბადა. ის ახლა 27 წლისაა. სწავლობდა ჯერ თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში ბ ახლა განაგრძობს მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოებაში პროფ. სიბორთან.

ილიკოს მოგზაურობის დროს ბევრი რამ გადახდა. ხშირად უგრძვნია უფროს მეეზოვების და პოლიციელების მუჯლუგუნები მოსკოვში და პეტერბურგში ეზო-ეზო სიარულის დროს. ბევრჯელ მიუციათ მსმენელებს მისთვის ჩვეულებრივზე დიდი გასამრჯელო (ათ თუმანზე მეტი), მაგრამ მას ყოველთვის დაუბრუნებია. „ჩვეულებრივზე მეტს არ ვიღებ, რადგანაც ეს ჩემს იდეას არ შეეფერება.“

ახლა ჩვენი სიმპატიური თანამემამულე ჩამოვიდა თავის საყვარელ სამშობლოში, სადაც სურს თბილისში და ქუთაისში ეზო-ეზო იაროს. თბილისში ნაძალადევიდან დაიწყებს. ხვალ გამართავს კონცერტს ქართულ თეატრში ფასიანს და მერე სახალხო სახლში **უფასოს** მუშებისათვის. ურიგო არ იქნება საქართველოს სხვა ქალაქებიც მოიაროს. ერთი თვის შემდეგ იგი ისევ მოსკოვს მიემგზავრება სწავლის განსაგრძობად.



ილიკო ქურხული.

ზაფხულში ისევ სამშობლოში ჩამოვა და სოფელ-სოფელ ივლის: სოფლის მუშებისათვის დაუკრავს მუსიკალურ პიესებს წასახალისებლად.

არ შეიძლება აღტაცებით არ მოიხსენიო ასეთი ჩუმი მუშაობა ამ უანგარო ახალგაზრდასი. გასაკვირველი არ არის, რომ რუსეთის მშრომელი ხალხი სიყვარულით განიმსჭვალა მისდამი. ასეთივე გამარჯვება მოელის მის სამშობლოშიაც.




**ილიკო ქურხული პეტერბურგში ერთ-ერთ ეზოში ვიოლონზე უკრავს.**

## რად დავდივარ ეზო-ეზო ვიოლონზე დასაკვრელად?

ხალხის მასსის მუსიკალურ აღზრდის საკითხი ამ ჟამად მეტად თვალსაჩინო და ყოვლად საყურადღებოა.

ბევრია დაწერილი ამის შესახებ, მაგრამ ეს მუსიკალურ აღზრდის საქმე მაინც წინ არ წაწეულა.

მართალია, ერთის მხრით, უკანასკნელ დროს გამრავლდა ყოველგვარი „საყოველთაო“ საღამოები, დილები, კონცერტები, მაგრამ ყველა ეს მაინც მიუწდომელია ხალხის დიდი ნაწილისათვის, რადგანაც ფასები შესამჩნევად მაღალია.

სიმფონიურ კონცერტების შესახებ ხომ არც შეიძლება ლაპარაკი. ფასები ამ კონცერტებზე ისე დიდია, რომ პირდაპირ ჰღაღადებენ: „მოდი ჩემთან მდიდარო, ღარიბო, ტყუილად ნუ ოცნებობ, შორს დაიჭირე გზა!“

ამ დროს ჩვენ თვითონ ძალიან კარგადა გვაქვს გათვალისწინებული, თუ რას წარმოადგენს მუსიკა, როგორ კეთილად ჰმოქმედობს ადამიანზე და როგორ ხშირად უტკბობს სულს. ყოველ ადამიანს სურს განითავისუფლოს თავი ყოველდღიურ ჭირსა და ვარამისაგან, ერთის სიტყვით სულიერად დამშვიდდეს. მაგრამ ის, ვინც ნივთიერის მხრით შეუძლოა, მას საშუალება არა აქვს ეს ნატვრა აისრულოს. ის ამ შემთხვევაში საშინელ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ სახეში ხალხის საშუალო კლასები კი არა გვყავს, არამედ უფრო დაბალი წრეები.

მართლაც, რომელ მუსიკალურ საზრდოთი იკვებებიან ეს წრეები?

რას იძლევა მათთვის ცხოვრება?

სახლში „გარმონს“ უკრავენ, ეზოში „შარმანკას“ უგდებენ ყურს და გასართობ ადგილებში კი—გრამოფონს.

აი ამ სამი სახის მუსიკის სფეროში ტრიალებს ღარიბი მცხოვრებელი! ..

აქ იბრუნებს ის სულს, აქ იკმაყოფილებს თავის მუსიკალურ მოთხოვნილებას.

მაგრამ ნუ თუ დრო არ არის ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება!

ნუ თუ დრო არ არის შეუძლო მასსის გულში ჩავიხედოთ და ხელი შევუწყოთ ამ მის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას?

ერთხელ მაინც უნდა აღვიაროთ გულწრფელად, რომ ჩვენ, საზოგადოებას, არაფერი გაგვიკეთებია ამ წრეებისათვის.

მუსიკალურის მხრით უსამართლობამ მეტად იჩინა თავი.

მუსიკა, როგორც ობიექტიური ხელოვნება, ყოველთვის ემსახურებოდა მხოლოდ შეძლებულ კლასებს, შეუძლებლებისათვის კი რაღაც მიუწდომელ ოცნებას შეადგენდა.

მაგრამ განა ასე უნდა იყოს?

განა მუსიკა ლოცვასავით არ უნდა იყოს ყველასათვის ადვილად მისაწვდომი?

განა იმით არ უნდა სტკბებოდეს ყველა მომაკვდავი თანაბრად?

თუ არა, მაშინ სულაც არ ღირს მასზე ლაპარაკი, თუ ჰო, მაშინ ხომ საჭიროა ეს საკითხი განვიხილოთ, როგორ შევუწყოთ ხელი ამ დიად საქმეს.

მე პირადად ასე გადავწყვიტე. შევამზადე კლასიკური რეპერტუარი, რომლის გაგებას შესძლებს ხალხის მასსა, დავიწყე ეზო ეზო სიარული და ვიოლონზე (სკრიპკაზე) მომზადებულ სხვა და სხვა მუსიკალურ პიესებს ვუკრავ.

მოლოდინში სრულებით არ შევცდარვარ. მალე შევნიშნე, რომ დავიწყე კარგი საქმე და ყოველივე ღონე ვიღონე, რომ ის უკეთესად მომეწყო.

მე შევდივარ ზოგჯერ იმისთანა კუნჭულებში, სადაც იშვიათად ჩნდება მზის შუქი. შემიმჩნევია, რა სიხარული დამყარებულა აქ მუსიკის დაკვრის დროს.

მაგრამ ამ დიდ საქმეში მე მარტო რას წარმოვადგენ?

წვეთს—ოკეანეში ...

აქ საჭიროა საზოგადოების, მჭიდროდ შეკავშირებულ ჯგუფის დახმარება, რომელიც წინდაწინვე შეიმუშავებს პროგრამას, დაიყოფს რაიონებს და ისე შეუდგება ხალხის სამსახურს.

ამის მოწყობა ხომ ადვილად მესაძლებელია და მერე რამდენად არის საინტერესო!..

მარტოკა გამოსვლა კი არ არის სასურველი, არამედ ერთად. უნდა გაიმართოს ხან დუეტი, ხან ტრიო. სიმღერა „სოლო“ ვიოლონის აკომპანიმენტითაც დიდად სასურველია...

ერთის სიტყვით, ეს უშველებელი საქმეა, დიდი საზოგადო საქმე, რომელსაც ერთხელაც უნდა მიექცეს ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილის ყურადღება.

ჩვენ ამ საგანს არა ერთხელ დავუბრუნდებით.

**ილიკო ქურხული.**

## მონასტერში.

(ეტიუდი).

მშვენიერია და თვალ-წარმტაცი ის პატარა მონასტერი, რომელშიაც იმყოფება ჩემი ნინო.

კავკასიონის თვალ-უწვდენი მთები, რომელნიც ცის ლურჯ კამარას ბურჯებათ ებჯინებიან და რომელნიც ნისლით არიან მოცულნი—ამაყად დასცქერიან იმ კორდს, რომელზედაც არის აშენებული უძველესი მონასტერი.

მას ირგვლივ ხშირ-ფოთლიანი ტყე აკრავს. მისი თვითეული ხე ჰმოწმობს თავის მხცოვანებას. საუკუნიანი ნაძვის ხეები მთის მწვერვალებს უპირდაპირდებიან სიმაღლით. მზე აქეთ მხოლოდ დილის სტუმარია, როდესაც აღმოსავლეთით წითლად იწყებს ბრწყინვას. თავის მოცინარი სხივებით დაჰკოცნის ხოლმე ამ არე მარეს და შემდეგ მიეფარება მთებს.

დილითი სცოცხლობს ეს მხარე და მიტომ შევიქენი ხშირი სტუმარი ამ წიაღისა.

როდესაც მზე დასთამაშებს მაღლობებს, უნდა ნახოთ მაშინ ხტუნვა-ნავარდი შველ-ირემთა, ბრძოლა ჯიხვთა... როგორის სიტურფით გადმოსცქერიან დაბლა... მათი თამამი ქცევა-გამომეტყველება თითქოს გეუბნებათ: „აჰა, დროებით მაინცა ვართ თქვენი მეფენი, თქვენი დამტყვევნი ჩვენი სილამაზით და გამბედაობით“. შემდეგ კვლავ ეტაკებიან ერთმანეთს და ისე შეიკუნტრუშებენ დაბურვილ ტყეში, რომ მათის მშვენიერების შურით აღვსილმა ადამის ძემ არა ავნოს-რა.

მონასტრის გვერდზე მთიდან მოჩუხჩუხებს და ქვიდან-ქვაზე ხტის ყინულივით ცივი ანკარა წყარო, რომელიც ყველას სიცოცხლეს უკარნახებს. თავის მოუსვენრობით იგი სულ ახალ-ახალ სიცოცხლეს ჰპირდება მაყურებელს. წინწკლებს ესვრის გარეშემო ბალახ-ყვავილებს და აშმუშვენინებს ტანს. ისინიც შეჰხარიან თავიანთ მასაზრდოებელს და ისტუმრებენ ქვეშეთისაკენ. იქ-კი, დაბლა მდინარე მიჰქუხს და იხუტებს გულში მთის შვრიკს, რომელიც მოუთხრობს მაღალ მხრის ამბავს.

ქვევით სხვა გვარად მიმდინარეობს ცხოვრება. გადაჭიმული ნაფუზვრები, ათას-ფერად აყვავებული, თვალის წარმტაცად გამოიყურება. გზა-ტკეცილზე მიმავალ ურმის ჭრიალი და მეურმის სევდიანი ღიღინი ატყვევებს ყოველ სულდგმულის სმენას და სადღაც შორს მიაქანებს.

მწვანე ფერდობზე ლამაზად არის შეფენილი ცხვარი. მხარ-თეძოზე წამოწოლილი მწყემსი გულ-საკლავად აკვნესებს სალამურს. ის ამ კვნესით ყველაფერს ამბობს თავის გლეხურ უბედურ ხვედრისას. ის ბევრს არ ესმის... იმას ის გაიგებს ვინც მისებრ განიცდის გაჭირვებას.

სალამურის დაკვრაზე ფრინველნი შორით აძლევენ სტვენით ბანს, დატყვევებულნი მომხიბლველ ჰანგებით, მწყემსს უათკეცებენ სურვილს სალამურის დაკვრისას.

არ ვიცი ნინოს სიყვარულის ბრალია, თუ ბუნების მომხიბლველობისა, რომ გული აქეთ მოიწევს ხოლმე, მაჯადოებს აგრეთვე ის ციური საგალობელი, რომელსაც ყოველ დილით ასრულებენ ტრაპეზის წინ ჩამწკრივებულნი მონაზონნი.

ხელ-აპყრობილნი ლოცულობენ, სადღაც შორს გიტაცებს მათი გალობა და აფაქიზებს შენს არსებობას. ვერ გამორკვეულხარ და ჩერდები გზა-ჯვარედინზე... ოცნებათა მორევში სცურავ და მისცემიხარ ფიქრს... შენი გული ეკითხება ყველას იმ უცნობ ძალის არსებობაზე, რომლის არსებობაზედაც ფიქრი ბევრს იწირავს მსხვერპლად.

მაგრამ იქნება სულ არაფერიც არ არის? ანუ რა არის ის „არა რა რომელიც ასეთის მიუწდომლობით არის შეპყრობილი?.. ქვეყანა, რომ ასე არა ყოფილიყო რა იქნებოდა?...

ამ ფიქრებში ხშირადა ვყოფილვარ და მაშინ გამოვრკვეულვარ მხოლოდ, როდესაც ხეზე ჩამობმული პატარა ზარისათვის ჩამოუკრავთ. მისი წკრიალა ხმა ირგვლივ მიდამოს მომჯადოებლად მოჰფენია და მოუწვევია **მართლ-მორწმუნენი ტვირთ-მძიმეთათვის** ჯვარცმულის თაყვანსაცემლად.

გაღმა ხეობა უპით აძლევს პასუხს ამ ახმაურებას და უხილავ თვალით იქით იცქირები, ჰფიქრობ, თუ რა ძალაა ეს ძალა ბუნებისა, რომელიც წარმოადგენს „არარას“, ამავე დროს-კი ყოველ ხმაურობაზე პასუხს გაძლევს, თითქოს გეჯიბრება ხმაურობაშიო.

ჩემ შენამდის მოღწეულ გალობის გამო ვერკვევი და მახსენდება, რომ ამ განდეგილ-მეუდაბნოეთა სავანეში ჩემი მიჯნურიც არის.

მესმის მკაფიოდ ნინოს ხმა, რომელიც კარგად გაირჩევა დანარჩენთაგან. ეს ხმები მაცნობებენ ჩემი სიყრმის წამებას, როდესაც ჩვენი სოფლის ეკლესიაში ვგალობდით ხოლმე სხვებთან ერთად მაშინაც გაირჩეოდა ნინო თავის ნარნარი ხმით.

ველარ ვითმენ გარედ ყოფნას და შევდივარ მონასტერში...

საკმევლის სუნნელოვანებით არის გაჟღენთილი სამლოცველო. აქა-იქ ბჟუტავს სანთლები. ასულნი ტანჯულ საქრისტიანოსი მუხლ-მოდრეკილნი ჩამწკრივებულან. მწყობრად გაისმის სასულიერო ჰანგი...

აი ჩემი ნინოც!..

ეჰ, რაღას მიცნობს!..

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. ეს ხუთი წელიწადი ხუთ საუკუნედ გადამექცა... ვინ უწყის, ეხლა იქნება ნინოს მკვდარიც-კი ვგონივარ-და მე მის ახლოს-კი ვიმყოფები; ისე ახლოს, რომ ერთი შემოხედვის მეტიც არ უნდა და... მუდამ ვხედავ მას, მაგრამ არ ვეცნაურები.

შეიძლება ასე უფრო სჯობდეს?.. ვდგევარ ამ საუცხოო ჰარმონიით შებოჭილი და ჩემი გონების თვალის წინ მსწრაფად და მწკრივად მოჰქრის წარსულის სხვადასხვა მოგონება.

ერთად ვიზრდებოდით მე და ნინო. შევფიცეთ სიყვარული, დაუნდობელმა ცხოვრების უკუღმართობამ კი დაგვაშორა.. თვალ-წინ წარმომიდგა ის წუთი, როდესაც აჯანყებულ გლეხთა მეთაურობისათვის მომაშორეს მშობლიურ კერას და სოფლის ბოლოს, ჩამიყვანეს ორღობეში. ამ დროს დამეწია ნინო თმებ-გაწეწილი, ნამტირალევი თვალებით და ხელი, რომ გამომიწოდა, გამოსამშვიდობებლად, დარაჯებმა კონდახის საშუალებით არ მოუშვეს ჩემთან. ნინო წაიქცა და მხოლოდ გაიძახოდა: „ლეო, ჩემო ლეო“!.. საშინლად ავენთე ამის მნახველი, დავაპირე გასხლტომა. მაგრამ ხელ-ფეხ შებორკილი რას გავხდებოდი?! ოჰ ნინო, ნინო!..—გულამოსკვნით უნებლიედ წარმოვსთქვი და ის იყო.

მეორე დღეს გამომეღვიძა საპყრობილის ჭუჭყიან იატაკზე მთლად დასისხლიანებულს...

მას შემდეკ აღარაფერი გამიგია ნინოს შესახებ და როდესაც გამოვიპარე სამშობლოში, მეგობართაგან გავიგე მისი აქ მოსვლა და მონოზნად შედგომა.

წარსულის გახსენებამ ისე დამატყვევა, რომ მივეყრდნე კედელს და რაც ჩემ დღეში არა მქონია ჩვეულებად, იმას მოვყევი—ხმა-მაღლა ქვითინი დავიწყე.

შესწყდა გალობა და ყველას თვალი ჩემკენ ეჭირა. ალბად გული თუ შეუღონდაო, იფიქრეს.

მორჩილმა წყალი გამომიწოდა.

ყველამ თავისი საქმე განაგრძო და მხოლოდ ნინო მიცქეროდა გაშტერებული: იმას გული მოუსვენრად უცემდა, თვალნი მისნი რაღაცას ამბობდნენ, გამომეტყველება უცნაური ჰქონდა.

სულმა სული იცნო!..

ნინო კიდევ ეჭვში... ვით ქანდაკება გამოიყურება, შავ ტანთ საცმელში გამოწყობილი.

ასე არასოდეს არ მყვარებია.

ველარ შევიკავე დუმილი და ყრუდ შევკივლე: „ნინო“! და ამოვეფარე სვეტს. თითქოს ნიშანს ელოდებოდაო, გამოექანა ჩემსკენ.

—ლეო, ჩემო ლეო!—და მიაყრდნო თავი ჩემს მკერდს; სიხარულისაგან დაიწყო ტირილი. ჩემსავით დაავიწყდა, რომ მონასტერში იმყოფებოდა.

მაგრამ ჩავიხუტე გულში მთლად აცახცახებული, თითქო წართმევას მიპირებენო. სიტყვის წარმოთქმას ვერ ვახერხებდი. მხოლოდ ნინო გაიძახოდა კვლავ: „ლეო, ჩემო ლეო!“

მორჩილმა მოგვაგონა, სადაც ვიყავით. რამდენიმე მონაზონიც შემოგვეხვია. ცნობის-მოყვარეობით შემოგვცქეროდნენ.

ჩემი დარჩენა შეუძლებელი იყო...

წამოსვლა დავაპირე, ხელი ჩავჭიდე ნინოს. მსურდა წამომეყვანა თანა, მაგრამ სად? სადა მქონდა ბინა მე დევნილს?!

თითქო მიხვდაო ჩემს სურვილს, გამახსენა: „არ შემიძლია; მონოზანი ვარო“ თვალებზე ხელი აიფარა.

უნებლიედ გამახსენდა ჰამლეტის სიტყვები ოფელიას მიმართ: „თუნდაც ყინულისავით წმინდა იყო და თოვლისავით სპეტაკი ცილისწამება მაინც არ აგცდება აქა. რად გინდა, რომ ცოდვიანები გაამრავლო ამ ქვეყნად? წადი მონასტერში“!..

განვიმეორე:—დარჩი მონასტერში!..

განიმეორა რეფლექტიურად ნინომაც და მუხლ-მოდრეკილი დაეშვა მაცხოვრის ხატის წინ.

თუმცა ვიცოდი, ნინოს მონასტერშიაც არ ასცილდებოდა ცილისწამება, მაგრამ მაინც ეს ვურჩიე.

მონასტრიდან გამოსვლისას ერთხელ კიდევ მივიხედე...

მას აქეთ დავძრწი უგზო უკვლოდ...

**ს. ერთაწმინდელი.**

## ჩვენი ქვეყნის აქ-კარგი.

**ჩვენებური შული. გურიის ადმინისტრაციის გადაყენების გამო.**

„სახ. გაზეთში“ ამას წინად ბ. ვ. კაკაბაძემ წერილი მოათავსა ქ. ხარკოვიდან, რომელშიაც სხვათა შორის, ფრიად საყურადღებო საგანს შეეხო, სახელდობრ ჩვენს შეერთებას, სოლიდარობის იმ საკითხთა შესახებ, რომელთა გადაწყვეტა ჩვენში არსებულ ყველა მიმართულებათა უსაჭიროეს და უახლოეს მიზანს წარმოადგენს.

ეს საკითხი ფრიად სერიოზულია და ამასთანავე საამდროვოც. ამ კითხვას მთელი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ისტორია შორეულ წარსულს არ ეკუთვნის, იგი ახლო წარსულის ამბავს მოგვითხრობს, რომლის მოწამეც ყოველი ჩვენგანია.

ჩვენ, ქართველებს, ერთი ცუდი ზნე გვჭირს: დაუნდობლობა, მიუკარებლობა. განმარტოებით თვითეული ჩვენგანი, რა მიზნისა, რწმენისა და მიმართულებისაც უნდა იყოს, გმირია; საოცარის თავდადებით და მხნეობით იბრძვის და მოღვაწეობს ამა თუ იმ ასპარეზზე სხვა და სხვა ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. ხოლო როცა შეერთებაზე მიდგება საქმე, მაშინ ზოგი აქეთ იწევს, ზოგიც იქით; ჩნდება ჯგუფობა, პარტიობა, დასობა, შუღლი და ქიშპობა. ეს მერე მაშინ, როდესაც მტკიცე და ურყეველი კავშირებია საჭირო. უახლოესი მიზანი ყველასათვის ერთია, მაგრამ მაინც საშუალებათა გამოძებნაში, ვერ შევთანხმებულვართ და ერთი მეორეს სასტიკს, ხშირად უაზრო, ბრძოლას ვუცხადებთ. ამის მაგალითები ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში მრავალზე უმრავლესია.

კინკლაობა და შეუთანხმებლობა ქართველ ინტელიგენციას თანდაყოლილ თვისებად გადაექცა. რომ ჩაუკვირდეთ ჩვენს წარსულ ისტორიას, როგორც რუსეთთან შეერთებამდის, ისე შემდეგაც, განა ცოტა მაგალითს შევხვდებით? ამ ბოლო წლებში ხომ უმწვერვალესობას მიაღწია ჩვენში პარტიულმა ბრძოლამ სულ უბრალო წვრილმან საკითხებშიაც კი?! თუ ჩვენ წინაპრებს ასეთი ნაკლი ჰქონდათ, მათ კიდევ გასამართლებელი საბუთი მოეპოვებოდათ. ისინი 100,200 წლის წინად სცხოვრობდნენ. რაც ჩვენ მამა პაპას ეპატიება, არ გვეპატიება ჩვენ, მეოცე საუკუნის მცხოვრებთ. უნდა ერთხელ მაინც გამოვიჩინოთ შორსმჭვრეტელობა. უნდა გამოვიყენოთ წარსული გაკვეთილი. ჩვენი ცხოვრების ახლანდელი ნამდვილი ვითარება გვიკარნახებს ამას.

ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი დღეს. ჩვენი ქვეყნის რეალური ვითარება დღეს

სწორედ სოლიდარულ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან რწმენისა და მიმართულების განურჩევლად. ბევრი ისეთი საჭირ-ბოროტო კითხვაა წამოყენებული, რომლის განმარტება და გადაჭრა ერთნაირად საჭიროა, როგორც მიწის მომუშავესათვის, ისე სხვა და სხვა ქარხანა-სახელოსნოში მომუშავეთათვისაც.

დასავლეთ ევროპაში, სადაც თანამედროვე მოთხოვნილებას ჯეროვანი ალლო აართვეს, ეს კარგად აქვთ შეგნებული. ამისთვის მოუწოდებდა ახლად განსვენებული ავგუსტ ბებელი და ბევრი კიდევ სხვა მისებრ მოაზრე. ჩვენზე დაწინაურებულ ქვეყნებში, თუ საჭიროდ და შესაძლოდ ხდიან შეერთებულ მუშაობას პრაქტიკულ კითხვების გადაწყვეტისათვის, ჩვენში, სხვა ქვეყნებზე ჩამორჩენილ მხარეში, რატომ არ უნდა შეერთდნენ თვით მემარცხენენი საერთო მტრის წინააღმდეგ, საერთო საჭიროებისავე დასაკმაყოფილებლად?

საერთო კი ბევრი რამ გვაქვს. სანამ შევუდგებოდეთ უმაღლეს იდეალის განხორციელებას, ვინ მოსთვლის რამდენი დაბრკოლება უნდა მოვიცილოთ თავიდან? ამისათვის კი ძალთა შეერთებაა საჭირო, სოლიდარობა და არა ძალთა სრული დეზორგანიზაცია, როგორც ამას სამწუხაროდ ვხედავთ დღეს ჩვენში. ასეთი თანხმობითი მოქმედება არც ერთი მიმართულების მსოფლმხედველობას არ ეწინააღმდეგება პირიქით, ხელს უწყობს და გზას უკაფავს იდეალს.

ჩვენ გვაქვს საბედნიეროდ ისეთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, სადაც შესაძლებელია და მასთანავე სასარგებლოც შეერთებული მუშაობა, მაგრამ აქაც არ ვივიწყებთ ჩვენს შეურიგებლობას და ერთი მეორეს სასტიკად ვებრძვით. წერა-კითხვის საზოგადოებას თავის განყოფილებით, ქართულ სამეცნიერო და საკულტურო წრეებს საერთო არა აქვთ რა პარტიულ პოლიტიკასთან, მაგრამ აქაც ვერ გვიმუშავნია თანხმობით, აგრეთვე შეერთებული ძალღონით ვერ დაგვიარსებია ერთი სერიოზული მემარცხენე **უპარტიო** ჟურნალი ან ყოველდღიური გაზეთი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი საუკეთესო ძალთა თავის მოყრა. ეს ჩვენი საზოგადო საქმის პროგრესიულ მსვლელობას ხელს შეუწყობდა. ვერ შეგვიგნია რომ ძალთა დაქსაქსვა-დანაწილება გვასუსტებს. სუსტი რის სუსტია, თუ ყოველმა გამვლელ-გამომვლელმა თავში არ ჩაარტყა. რა თქმა უნდა მე ის კი არა მსურს ვსთქვა, რომ ჩვენში აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნუ იქნება ან კრიტიკულად ნუ შევეხებით ამა თუ იმ მიმართულების ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობას,—უამისოდ ჩვენი ცხოვრება მეტად უფერული და მოდუნებული იქნებოდა.—მაგრამ მსჯელობაც არის და მსჯელობაც.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა გათვალისწინებული ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების დაუღალავ მეთვალყურეს, არჩილ ჯორჯაძეს და აკი ამიტომაც გვარწმუნებდა იგი: „შეთანხმება მაინც შესაძლებელიაო“. დიაღ, ჩვენ ვალდებულნი ვართ შეერთებული ძალ-ღონით ჩვენი ქვეყნის წინსვლას და ზრდა-განვითარებას ხელი შევუწყოთ და შორეული მიზანიც დავიახლოვოთ.

* * *

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არა-ერთხელ დაბეჭდილა ცნობა ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ. გაიხსენეთ, სხვათა შორის შარშან „თემში“ დაბეჭდილი მელქისედეგ მახარაძის ყოვლად საყურადღებო წერილი.

სწორეთ საოცარი და საზღაპრო ქვეყანაა ეს გურია! უფლების გადაჭარბება თუ ბოროტმოქმედება მაზრის ადმინისტრაციისა აქ ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. აქამდინ ტოლმაჩევის დიქტატურა ვის არ ახსოვს? ერმოლოვიც დაუვიწყარი იქნება გურულებისათვის; ხოლო წელს კი ამ კომპანიას მთელი ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციაც მიემატა. დიდი ხანია მას შემდეგ რაც ამ ადმინისტრაციის ბოროტმოქმედების შესახებ ხმები დადიოდა და ამის შესახებ კიდევაც სწერდნენ გაზეთებში, რამდენადაც ხელს უწყობდა ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელი პირობები. ბოლო დროს ამ ხმებს გარკვეული ხასიათი მიეცა. და თვით მაზრის მცხოვრებლებმა აღიმაღლეს გაბედულად ხმა და კიდევაც იჩივლეს მეფის მოადგილესთან, რომელმაც მკაცრი გამოძიება მოახდინა რევიზორ გენერალ შჩიგროვსკის საშუალებით. [illegible] დნენ რასაკვირველია. გადაყენებულ ადმინისტრაციის ჭირისუფლები და შესაფერ ლონისძიების გამოძებნას შეუდგნენ, რომ როგორმე დააბრუნონ ისინი, ვინც მათ ბნელ საქმეების განხორციელებას ხელს უწყობდა. ხელად აურინეს „დეპუტაცია“ ლივადიაში მეფის მოადგილესთან შესაფერ შუამდგომლობის აღძვრისათვის. ამ „დეპუტაციას“ რომელსაც გურიის ორიოდე თავად-აზნაური შეადგენს, ვერ წარმოუდგენია გურიის არსებობა თუ გადაყენებული მოხელეები ისევ ისე არ დაუბრუნდნენ თავის თანამდებობას და სცდილობენ გენ. ივ. დუმბაძის და იგ. ნაკაშიძის შუამდგომლობით „ძველი რეჟიმი“ განაახლონ. ხსენებული „დეპუტაციის“ რწმუნებით პოლკ. ზაკუსოვი და ძმანი მისნი, თურმე, მამა აბრამის კრავივით უცოდველნი არიან. ამას კიდევ ვინ სჩივის! თურმე ნუ იტყვით ხსენებულ „დეპუტატების“ აზრით თუ გადაყენებულნი არ დაუბრუნდებიან ისევ გურიას, ეს მხარე აჯანყდება და ფედერატიულ რესპუბლიკას დაამყარებსო. ასეთ თვალთმაქცობა და ფარისევლობა, დღეს, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრის მმართველთ შეცდომაში ვერ შეიყვანს. გადაყენებულთა ნამოქმედარი ფრიად ჰღაღადებს თავისთავად.. რასა ჰფიქრობდნენ „დეპუტატები“ მეფის მოადგილესთან, რომ მიემგზავრებოდნენ? ნუ თუ ეგონათ, რომ კოკა ყოველთვის წყალს მოიტანდა?!.. აი რა გულშემატკივარი ჭირისუფლები გამოუჩნდნენ დღეს საქართველოს ერთს საუკეთესო კუთხეთაგანს!...

**არ. სოჩბელი.**

## საქართველოს ამბები.

**დ. ხაშურის ავ-კარგი.** თუ სხვა დაბა-სოფლები ჩვენს ქართლში ჯერ-ჯერობით კულტურულად ჩამორჩენილნი არიან და არავითარ საზოგადო საქმეებს ჯერ ფეხი არ მოუკიდია იქ, სამაგიეროდ დ. ხაშური ელვის სისწრაფით იზრდება, წინ მიდის ენერგიულ პირთა წყალობით. ამ მოკლე ხანში, ვერც ერთი დასავლეთ საქართველოს თვალსაჩინო დაბა მას მეტოქეობას ვერ გაუწევს.

წვრილმან სასარგებლო საქმეებს რომ არ შევეხოთ, ვეცდებით უფრო თვალსაჩინო დაწესებულებანი აღვნუსხოთ. **1. ექვს-კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია,** რომელიც დაარსა ადგილობრივ საზოგადოებამ თავის საკუთარის ხარჯით და ენერგიით, რომელსაც სათავეში უდგია საზოგადოებისგანვე ამორჩეული გამგე-კომიტეტი, რომელსაც კარგა მიჰყავს სკოლის საქმე. **2. უფასო სამკითხველო,** რომელსაც ინახავს საზოგადოება. თუმცა ჯერ-ჯერობით ღარიბია, მაგრამ თანდათან გამაგრდება მატერიალურად. **3. საკრედიტო ამხანაგობა.** 4. **დრამატიული წრე,** რომელიც დაარსდა რამდენიმე თვის წინად და უწინ თუ ორსამ წარმოდგენას ძლივს ვღირსებოდით წელიწადში, დღეს თითქმის ორი და სამი წარმოდგენა იმართება თვეში, ამის წყალობით შინაარსიანი—თანამედროვე პიესების ხილვით სტკბება საზოგადოება.

ამ ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებებით არ დაკმაყოფილდა ხაშურის მოწინავე საზოგადოება და განუზრახავს უფასო საავადმყოფოს გახსნა, რისთვისაც უკვე ამიოირჩიეს კომიტეტი. ეს ყველა კარგი მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ იქ, სადაც ნათელი აზრები და მოღვაწენი იბადებიან, იმავე დროს ბოროტნი და მოწინააღმდეგენი სოკოებივით ჩნდებიან და ყოველგვარ სასარგებლო საქმეს წინ ეღობებიან.

აი ამ უბედურებას, ვერც ხაშურელი მოღვაწენი ასცდნენ.

ვერც ერთი საქმე ვერ დაიწყეს და დაავგვირგვინეს აქ ისე, რომ უწინ „დანოსები“ და საჩივრება არ აფრინონ. ზოგი ერთები სადაც ჯერ არს როდესაც ამ მხრივ ვერაფერს გააწყობენ ხოლმე, მაშინ საზოგადოებაში შუღლს სთესენ და აფერხებენ დაწყებულ საქმეს.

აი ეს ბედი ხვდა წილად ზემოხსენებულ პროგიმნაზიას. რომ დამაარსებელნი ყოჩაღად არ ყოფილიყვნენ, სასწავლებელს დაჰხურავდნენ და 200 ბავშზე მეტი სკოლის გარეთ დარჩებოდა. არ დარჩენილა ისეთი დაწესებულება, რომლის წინააღმდეგ არ გაელაშქროთ ამ ულირს ელემენტებს, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა, რადგანაც შეგნებული ელემენტი ბლომად მოიპოვება [illegible] განხორციელდეს ეს სასარგებლო საქმე. ჩვენდა სასიხარულოდ ამყოლნი ცოტანი უჩნდებათ.

**ნიკო გურული.**

**სოფ. ამბროლაური** (რაჭა). ამბროლაურის საზოგადოება იმყოფება ქვემო რაჭაში და შესდგება ხუთ პატარა სოფლისაგან: ამბროლაური, გორი, იწა, ახალ სოფელი და კრიხი. თვით ამბროლაური წარმოადგენს პატარა დაბას, სადაც რამდენიმე დუქანია ჩამწკრივებული (ამათში უფრო მეტი სამიკიტნოებია) და სადაც იმართება კვირაობით იარმუკობა, რომელზედაც ადგილობრივ მკვიდრთ გამოაქვთ სხვადასხვა მეურნეობის ნაწარმოები. სხვათა შორის არსებობს შემდეგი სახაზინო დაწესებულება: ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც 170-დი ქალი და ვაჟი სწავლობს, სასოფლო ქსენონი, მომრიგებელ სამოსამართლოს განყოფილება, აფთიაქი და წვრილი კრედიტის ამხანაგობა. ადგილმდებარეობითაც ამბროლაურს, შედარებით რაჭის სხვა დაბა-სოფლებთან, საუკეთესო ალაგი უჭირავს; წარმოადგენს ვაკე ადგილს, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის სამხრეთის ნაპირას და ირგვლივ შემოზღუდულია მთა გორაკებით. მნახველს შორიდან მოაგონებს ერთ მთლიან ბაღს. სახელწოდება **„ამბროლაური“** ამ სოფელს ხალხის გადმოცემით შემდეგი მიზეზით დაჰრქმევია: უწინ, თურმე, აქ სცხოვრობდა ერთი ებრაელი, რომელსაც დუქანი ჰქონდა გამართული და ვაჭრობდა; სახელად **„ამბროლა“** ერქვა. როგორც სჩანს ეს კაცი ყოფილა აქ ერთად-ერთი ვაჭარი, რომელსაც ყველა სოფლიდან აუარებელი ხალხი აწყდებოდა სავაჭროდ; ვისთვისაც უნდა გეკითხა:—სად მიხვალ?—**ამბროლაურიასთანო,**—გიპასუხებდა. ამ სოფელსაც ამიტომ დაჰრქმევია სახელად „ამბროლაური“.

ადგილობრივი მცხოვრებნი სულ თითქმის გლეხები არიან; აზნაური ორი-სამი კომლი თუ იქნება. ესენიც თავის ნივთიერ მდგომარეობის მხრივ ბევრად არ განსხვავდებიან პირველებისაგან, მისდევენ მეტ წილად მევენახეობას, რადგანაც მიწის ნიადაგი და ჰავა ხელს უწყობს აქ ვაზის მოვლა-მოშენებას. სიმინდისა და პურის მოყვანასაც მისდევენ, მაგრამ დასამუშავებელ მიწების სიცოტავის გამო, ეს მეურნეობის დარგი შესამჩნევად კოჭლობს. იშვიათად შეხვდებით მოსახლეს, რომ წლის სამყოფი სარჩოს მოყვანა მოახერხოს. ამიტომ მრავალი აქაური იძულებული ხდება თავის სახლ-კარი მიატოვოს დროებით და ქალაქს წავიდეს სამუშაოსათვის. ქალაქი ალთქმის ქვეყანას შეადგენს მათთვის,—„ქალაქს წავალ სამუშაოდ“—თითქმის პატარა ყმაწვილსაც კი აკერია ენაზე.

მევენახეობამ ძლიერი ნაბიჯით წაიწია წინ ამ სამ-ოთხ წელიწადში; თითქმის ყოველი გლეხი, ვისაც კი ერთი ნაჭერი მიწა გააჩნია, აბრუნებს და ამერიკულ საძირეზე დამყნილ სხვადასხვა ჯიშს ჰრგავს, რომელიც შესამჩნევად ხეირობს და კარგი თვისების ღვინოც დგება, რომელიც კახურსა და იმერულს არ ჩამოუვარდება. ოთხმოციან წლებში ფილოქსერის გაჩენამ, როგორც იმერეთში, ისე აქაც დიდი ვნება მოიტანა, მთელი ის გორაკები და ფერდობები, რომელიც ადრე ამ ათის წლის წინად ვაზებით იყო მოფენილი, მთლად ერთიანად გაანადგურა ამ უხილავმა მწერმა. ახლა კი იმ გაპარტახებულ ადგილებზე საუკეთესო ჯიშის ვაზების ვენახებია გაშენებული...

შედარებით ინტელიგენტებიც ბლომად გვყავს, მაგრამ უფრო კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან; საზოგადო საქმეს გაურბიან. მათი მოღვაწეობა „ფრაპით“ და „ბაქარით“ განისაზღვრება და სამიკიტნოში ხან და ხან „ბახუსის“ თაყვანისცემით... უნდა მოვიხსენიოთ, რომ ლოთობა აქ მდაბიო ხალხშიაც ხშირი მოვლენაა; ხშირად მინახავს, როცა ერთს რომელსამე ოჯახში რამდენიმე კაცი ჯდება, ხუთი ან ათი კასრი (ორი ფუთი) ღვინო უნდა დაილიოს. საუბედუროდ ამის შემდეგ ერთმანეთს თავპირს უსისხლიანებენ. აქაური გლეხი უფრო ადვილად დუქანში შეგიყვანს გამოსათრობად და რამოდენიმე მანეთს დახარჯავს, ვიდრე რაიმე კულტურულ, მისთვის სასარგებლო, საქმისათვის ფულს გაიღებს. ეს ენანება.

აქამდინ დ. ამბროლაურს წიგნთსაცავ-სამკითხველო არ გააჩნდა. დღეს, როგორც იქმნა, ვეღირსეთ. მაგრამ მისი არსებობა უმნიშვნელოა, რადგანაც ჯერ-ჯერობით მას ერთი გაზეთიც არ მოსდის... აქაურები ადგილობრივ სასწავლებელსაც ძლიერ გულცივად უყურებენ და ზოგიერთ „ბნელეთის მოციქულებს“ ისიც კი სურთ, რომ სასწავლებელი დღესვე შესწყვეტდეს თავის არსებობას.—ეს იქიდან სჩანს, რომ ახალი კანონის ძალით, სკოლის ხარჯს, რომელსაც საზოგადოება იხდის 600 მანეთამდის, ხაზინა ღებულობს თავის თავზე. ამისთვის აგვისტოს დამლევში მოწვეული იყო სოფლის ყრილობა განაჩენის დასადგენად, მაგრამ ზოგიერთ „ბნელი პირების“ ჰორების წყალობით ხალხმა უარი განაცხადა: „ჩვენ სკოლა არ გვინდა და განაჩენზედაც ხელს არ ვაწერთო“ ამის შესახებ მეორედ იქმნა მოწვეული ყრილობა, რომელზედაც მომრიგებელმა მოსამართლემ ს. მ. კვირკელიამ, რომელიც აღნიშნული სასწავლებლის საპატიო მზრუნველია, ხალხს დაწვრილებით აუხსნა ამ საქმის მნიშვნელობა. გარდა რამოდენიმე „ბნელი პირისა“, განაჩენზე ყველამ ხელი მოაწერა, მაგრამ მამასახლისმა ბ. ე. ბ—შვილმა ისეთი აგიტაცია გასწია, რომ დადგენილი განაჩენი დაარღვევინა მათ აი „შეგნებული“ მოხელეც სწორედ ასეთი უნდა!..

**ვ—ია.**

რედაქტორ-გამომცემელი
**გრიგოლ დიასამიძე.**




ხელოვნურად შეზავებული — სამკურნალო და ხილეულობის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

## გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411.
ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

20 ოქტომბრიდან [illegible] გამოდის თბილისში ყოველდღიური ქართული სახალხო გაზეთი

## „ახალი აზრი“

[illegible]

Адресъ: Тифлисъ, Габаевскiй пер. № 1, Типографiя А. Кереселидзе, „Ахали Азри“.

რედაქტორ-გამომცემელი თ. [illegible]



წიგნის მაღაზია

## „ცოდნა“

სოსიკო მერკვილაძისა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: **ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნები.** აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და სახიობთა **დიდი სურათები** თითო ათი შაური: **ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.**

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს.



სავაჭრო სკოლა (უფლებიანი)
და საბუღალტრო კურსები

## ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა

მისაღები დრო: დილით 8 საათიდან—2 საათამდე. 1 თუმანიშვილის ქუჩა საკ. ს. № 13. საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე კურსებზე მიხეილის პრ. ს. № 53. საჭიროა კომერციულ ანგარიშის მასწავლებელი.



## სტამბა „სორაპანი“

ღებულობს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე **ასრულებს საქმეს სუფთად, სწრაფად და გასაოცრად იაფად.**

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე მუხრანსკის შენობაში.



სავაჭრო სახლი

## ე. ა. ცატუროვისა და კომპ.

თბილისი, სასახლის ქ.

დიდი-ძალი არჩევანი

უბრალო და სტილური მხატრულ ელექტრონულ **არმატურისა.**

წარსულ სეზონების არმატურა იყიდება 40—50 პროც. დათმობით

დაარს. 1869 წ. — ტელეფონი № 238.



## „თემის“ რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

## „მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.

**ფასი 50 კაპ.**

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

**მისამართი: გაზ. „თემის“ კონტორა.**



## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| | ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$). |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თაკაიშვილი ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | [illegible] (ყოველ დღე) 12—1 |
| | [illegible] (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | [illegible] (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| | [illegible] (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| [illegible] | [illegible] (ორშაბათს, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$. |
| | [illegible] (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

[illegible] Wassermann [illegible] 50 კ. [illegible] „606“ 914 [illegible]